



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000092336072717

№ ს-1022

29 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის #591 დადგენილების და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 26 დეკემბრის # 01/761 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეიქმნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის შემსწავლელი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კომისიის თავმჯდომარე - მერის მოადგილე მარინა ზურაბიშვილი;
- ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის, განათლების და კულტურის განყოფილების მესამე რანგის მესამე მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ინნა ახალბედაშვილი;
- გ) კომისიის მდივანი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სოფიო ბოჭორაძე. კომისიის მდივანი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით.

დ) კომისიის წევრები:

დ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - გოგი აბუაშვილი;

დ.ბ) ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ქეთევან ყამბეგაშვილი;

დ.გ) განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მესამე რანგის მესამე მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ლია ჩალაძე;

დ.დ) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - გოჩა ჭინჭარაული.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე